



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაშტიკიშვილი”

სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შყეილაძე

“20” ივლისი 2018 წელი
№ 47/36

ევგ.: №1

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური
აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
ინფორმაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შესახებ.....	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	7
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	7
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი.....	8
1.2.1 აქტივები	8
1.2.2 საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა (მასშტაბის შეზღუდვა)	12
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	15
2.1 აღრიცხვა-ანგარიშგება	15
2.2 იჯარით გაცემული ფართები	16
2.3 შტატგარეშე მომუშავეები	19
2.4 საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან შეუსაბამო განაცემები	19
3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	21
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა	22
5. აუდიტორთა ხელმოწერა.....	24
6. დანართები - სამინისტროს (33 00) ფინანსური ანგარიშგება	25

ტერმინთა განმარტება

1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო - **სამინისტრო**.
2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი - **ცენტრალური აპარატი**.
3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სსიპ**.
4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - **შპს**.
5. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლები - **წარდგენის საფუძვლები**.
6. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქცია - **ინსტრუქცია**.

ინფორმაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შესახებ

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პროგრამული კოდი: 33 00) აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოა, რომელიც შეიმუშავებს ქვეყნის პოლიტიკას კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში და კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას. სამინისტროს ცენტრალური აპარატი, მის სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები წარმოადგენენ სამინისტროს ერთიან სისტემას.


სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი, ასევე მისი მმართველობის სფეროში შემავალი ორგანიზაციების მიერ კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები და გრანტები.

2017 წელს სამინისტროს უფლებამოსილების ფარგლებში ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა:

-)/ კულტურის სფეროებში ქვეყნის ერთიანი საჯარო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და განხორციელების კოორდინაცია;
-)/ მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების აღრიცხვა, დაცვა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია;
-)/ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკის წარმართვა;
-)/ სახელოვნებო განათლების კოორდინაცია და უწყვეტი სახელოვნებო განათლების უზრუნველყოფა;
-)/ შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა;
-)/ პროგრამული პრიორიტეტების ფარგლებში პროექტების ხელშეწყობა.

სამინისტროს სისტემაში 2017 წელს განხორციელებული რეორგანიზაციის¹ შედეგად გაუქმდა სსიპ - კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდი და შიქმნა სსიპ - შემოქმედებითი საქართველო, ხოლო დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალი შეუერთდა სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

¹ მინისტრის 2017 წლის 20 იანვრის N05/01 ბრძანება.



2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის, დაზუსტებული ბიუჯეტის და საკასო ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ათას ლარებში)²:

ცხრილი N1. 2017 წლის საბიუჯეტო პარამეტრები (ათ. ლარი)

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო	შესრულება
	1	2	3	3/2
ჯამური	99,615	104,282	111,180	107%
ხარჯები	90,402	94,130	100,853	107%
არაფინანსური აქტივების ზრდა	9,213	10,128	10,277	101%
ვალდებულებების კლება	-	23	50	217%

სამინისტროს ძირითადი საქმიანობა 33 00 საბიუჯეტო კოდის შესაბამისად, წარმართა 4 ძირითადი მიმართულებით:

ცხრილი N2. 2017 წლის ასიგნებები და ხარჯვა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ათ. ლარი)

კოდი	დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო	დამტკიცებული ბიუჯეტის წილი მთლიან ბიუჯეტში
33 01	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	5,045	4,908	4,795	5%
33 02	ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	61,739	60,518	67,354	62%
33 03	სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა	17,191	20,158	20,101	17%
33 04	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	15,640	18,698	18,930	16%
სულ		99,615	104,282	111,180	100%

² ცხრილი არ მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებული სახსრების შესახებ ინფორმაციას, 100%-ზე მეტი გეგმის შესრულების მაჩვენებელი კი გამოწვეულია სახაზინო სამსახურის ინფორმაციებში მიზნობრივი გრანტის ფარგლებში განხორციელებული გადახდების ასახვით.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პროგრამული კოდი: 33 00) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს:

-)/ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
-)/ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
-)/ ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
-)/ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
-)/ ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას;
-)/ ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს³ აღნიშნული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პროგრამული კოდი: 33 00) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

³ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 13-მდე.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.2.1 აქტივები

მოკლევადიანი აქტივები

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს მოთხოვნების/მოკლევადიანი აქტივების ნაშთი შეადგენდა 23,044,267 ლარს. წლის განმავლობაში მოთხოვნები შემცირდა 1,123,304 ლარის ოდენობით, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დებიტორული დავალიანებები დაიფარა, სსიპ - თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო პროფესიული თეატრის მიერ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მიხედვით, მიმწოდებელზე განხორციელდა გადახდები.

მოკლევადიანი აქტივების სტრუქტურა შემდეგია:

ცხრილი N3. მოკლევადიანი აქტივები (ლარი)

დასახელება	31.12.2017	01.01.2017
ფულადი სახსრები	12,783,023	13,596,531
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1,745,273	1,084,611
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4,557,027	5,909,909
სხვა მატერიალური მარაგები	2,835,640	2,453,216
სულ	21,920,963	23,044,267

დასტურის წერილის გასაგზავნად ცენტრალური აპარატის და სამინისტროს კონტროლ-ქვეშ არსებული 31 სსიპ-ის დებიტორული დავალიანების რეესტრიდან შერჩეულ იქნა 163 ორგანიზაცია, რომელთა დავალიანება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა - 4,654,130 ლარს. პასუხი მიღებულია 115 ორგანიზაციისგან, საიდანაც დადასტურებულია ყველა ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება - 3,373,456 ლარის ოდენობით. აღნიშნულმა შეადგინა შერჩეული ორგანიზაციების დავალიანების 72%.

არასწორად აღრიცხული მოთხოვნები

-) სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სააღრიცხვო რეგისტრებში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე ფიქსირდება საკრედიტო (უარყოფითი) ნაშთები: საწყისი ნაშთი - 16,648 ლარი და საბოლოო ნაშთი - 73,638 ლარის, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს ვალდებულებას. ამასთანავე, „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ საბალანსო ანგარიშზე

ირიცხება აქტიური (დადებითი) ნაშთები: საწყისი ნაშთი - 22,614 ლარის, საბოლოო - 85,733 ლარის ოდენობით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს მოთხოვნას;

- სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო რეგისტრებში „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე წლის საწყის ნაშთად ფიქსირდება 83,727 ლარის საკრედიტო (უარყოფითი) ნაშთი;
- სსიპ - ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სააღრიცხვო რეგისტრებში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე წლის საწყის ნაშთად ფიქსირდება 1,254 ლარის საკრედიტო (უარყოფითი) ნაშთი;

საჯარო სექტორში ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის შესაბამისობის საფუძველზე განსაზღვრული აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, ფინანსური ვალდებულებით ოპერაციები წარმოდგენილი უნდა იყოს ფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციებისგან განცალკევებით⁴.

ოპერაციის არასწორ საანგარიშგებო პერიოდზე მიკუთვნება

სსიპ - თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო პროფესიული თეატრის მიერ ოპერაცია არასწორ სააღრიცხვო პერიოდშია რეგისტრირებული. კერძოდ, შპს „ნანოტექსტროის“ მიერ 161,620 ლარის შესრულებული სამუშაოების მიხედვით, 2016 წლის დეკემბერში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 2017 წლის იანვარში დარეგისტრირდა ოპერაცია, რომლის შედეგად გაიზარდა „დამთავრებული ძირითადი აქტივის“ საბალანსო ანგარიშის ნაშთი და ამავე თანხით შემცირდა მოცემული კომპანიის მიმართ მოთხოვნა.

ოპერაციები და სხვა მოვლენები ბუღალტრულ ჩანაწერებში აღირიცხება პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, როდესაც ის განხორციელდა⁵.

ზემოაღნიშნული უზუსტობების შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების ანგარიშის საწყისი ნაშთი გაიზარდა 37,377 ლარით, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებების საწყისი ნაშთი შემცირდა - 124,243 ლარის ოდენობით; წლის ბოლოს კი მოთხოვნების შესაბამისი ანგარიშების ნაშთები შემცირებულია - 159,371 ლარით. ასევე აღნიშნული თანხით შემცირებულად არის წარდგენილი ვალდებულებების წლის ბოლოს ნაშთებიც.

⁴ ინსტრუქციის 43-ე და 46-ე მუხლების მე-3 პუნქტი.

⁵ ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტი.

გრძელვადიანი აქტივები

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების საწყისი ნაშთი შეადგენდა 454,620,674 ლარს, საბოლოო ნაშთი - 484,545,556 ლარს. ზრდა მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია სსიპ-ების მიერ არაწარმოებული აქტივების/მიწის ღირებულებების ბალანსზე აღრიცხვით. გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N4. ძირითადი აქტივების საბალანსო ნაშთები მუხლების მიხედვით (ლარი)

დასახელება	31.12.2017	01.01.2017
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	3,401	3,401
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	3,189,609	3,241,189
ძირითადი აქტივები	314,136,309	311,679,357
ფასეულობები	1,906,401	1,815,805
არაწარმოებული აქტივები	165,309,836	137,880,922
სულ	484,545,556	454,620,674

ძირითადი აქტივები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულებაში არ არის ასახული შენობებზე გაწეული კაპიტალური სამუშაოების ღირებულება:

- სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, არ არის განხორციელებული 2007 წელს ასოციაცია „ატუს“ მიერ თეატრის შენობაზე შესრულებული და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით საექსპლუატაციოდ გადაცემული 2,769,871 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების კაპიტალიზაცია. აღნიშნულ საბალანსო მუხლში არ არის ასახული ასევე გასულ წლებში თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე თეატრის შენობაზე აღდგენითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების (ბოლო სართულის/მანსარდის და ჭერის) ღირებულება, რომელიც განახორციელა თბილისის განვითარების ფონდმა (უფლებამოსილი პირის განმარტებით, თანხები უცნობია);
- სსიპ - ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრს და სსიპ - ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის ნაწილს გასულ, 2010-2012 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებით ჩაუტარდა კაპიტალური სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. აუდიტის ობიექტების განმარტებით, მიუხედავად არაერთი

მცდელობისა, ვერ იქნა მოპოვებული ჩატარებული კაპიტალური სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელთა საფუძველზე მოხდებოდა შენობის ღირებულების გაზრდა. შესაბამისად, აღნიშნული თეატრების შენობების ბალანსში აღიარებული ღირებულება არსებითად განსხვავდება რეალური ღირებულებისგან.

საბალანსო ღირებულების არასწორად განსაზღვრა

- სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის - „ერისიონის“ მიერ არასწორადაა განსაზღვრული და ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი აქტივების“ მუხლში აღრიცხული 2015 წლიდან ანსამბლისთვის სარგებლობის უფლებით თბილისში, ხეთაგუროვის ქუჩაზე გადაცემული შენობის ღირებულება. მოცემული აქტივის საწყისი საბალანსო ღირებულების განსაზღვრის დროს გამოყენებულ იქნა ამორტიზაციის 5%-იანი განაკვეთი, ნაცვლად 1%-ისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის აქტივის საწყისი ნაშთი - 923,380 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი - 913,957 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.
- სსიპ - ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის მიერ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ საბალანსო მუხლის საწყისი ნაშთი - 2,381 ლარით და საბოლოო ნაშთი - 2,347 ლარით მეტი ოდენობით არის წარდგენილი, რაც გამოწვეულია ქონების/შენობის გადაფასების დროს დაშვებული შეცდომით.

ამორტიზებული ძირითადი აქტივები

სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრის მიერ ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი აქტივების“ საბალანსო მუხლში აღრიცხულია სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) და შემდგომი ხმარებისთვის გამოუყენებელი 63,365 ლარის ისტორიული ღირებულების სადადგმო ქონება, რომელიც არსებული წესის თანახმად, ექვემდებარება ბალანსის საცნობარო მუხლში (08) - „ამორტიზებული ძირითადი აქტივების“ ანგარიშზე ასახვას⁶.

შედეგად, გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის უზუსტობებიდან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი აქტივების“ საბალანსო მუხლის საწყისი ნაშთი შემცირებულია 3,512,138 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი - 3,313,430 ლარით. ზემოაღნიშნული უზუსტობების გავლენით ასევე შემცირებულია კაპიტალის ანგარიშის ნაშთები: საწყისი - 3,413,883 ლარით, ხოლო საბოლოო - 3,376,795 ლარის ოდენობით.

⁶ ინსტრუქციის 110-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

1.2.2 საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა (მასშტაბის შეზღუდვა)

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

კონსერვატორიის მიერ სახსრების სწორი და გამჭვირვალე აღრიცხვა-ანგარიშების უზრუნველსაყოფად, ბუღალტრული აღრიცხვა არ წარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსერვატორიის მიერ წარდგენილი 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაციის ჩამოყალიბებას. (მაგალითად, ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებული „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ ანგარიშზე სააღრიცხვო რეგისტრების მიხედვით, საწყის და საბოლოო საკრედიტო/უარყოფით ნაშთად აღრიცხულია 289,496 ლარი, რომელიც აუდიტის ობიექტზე მიღებული განმარტებით, წარმოადგენს ცვთის თანხას, სხვა უზუსტობები განხილულია ანგარიშის შესაბამის ნაწილში და ა.შ.).

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსში) სრულად არ არის ასახული ყველა სამეურნეო ოპერაცია, რომელთა განხორციელების ფაქტიც დასტურდება პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებით და არ არის შესაბამისობაში წარდგენილი ბალანსის აქტივების ნაშთებთან. მაგალითად, 2017 წელს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებითა და ბალანსის დანართი N5-ის მიხედვით მიღებული და ჩამოწერილია მატერიალური მარაგები 14,367 ლარის ოდენობით, რაც სააღრიცხვო რეგისტრებში ასახული არ არის. ამასთანავე, სააღრიცხვო რეგისტრებისა და დოკუმენტების მიხედვით, აღნიშნული „მატერიალური მარაგების“ ანგარიშიდან ჩამოწერილია 3,195 ლარის აქტივები, როცა წარდგენილი ბალანსის მიხედვით, ანგარიშის საწყისი ნაშთი შეადგენს მხოლოდ 2,250 ლარს. 2017 წელს „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ N2200 საბალანსო ანგარიშის შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი 6,454 ლარის აქტივები გადაცემულია ექსპლუატაციაში, თუმცა შესაბამისი თანხით არ გაზრდილა ბალანსის საცნობარო მუხლი; წარდგენილი ბალანსის მიხედვით, მისი ნაშთი გაიზარდა 5,405 ლარით, სხვაობა - 1,049 ლარი კი უნდა იყოს აღრიცხული N2200 ანგარიშზე საბოლოო ნაშთად, ბალანსში კი აღნიშნული ანგარიშის ნაშთი ნულის ტოლია.

შედეგად, კონსერვატორიის მიერ წარდგენილი 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების საბალანსო ნაშთები არ არის შესაბამისობაში სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის შესაბამის მონაცემებთან⁷:

⁷ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლი; მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი; მე-8 მუხლი.

ცხრილი N5. სხვაობები ფინანსურ ანგარიშგებას (ბალანსი) და სააღრიცხვო რეგისტრებს შორის (ლარი)

ფორმა N1 (ანგარიშგება)				საბუღალტრო პროგრამა		სხვაობა	
დასახელება	ანგარიშის N	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
აქტივები							
მოკლევადიანი აქტივები							
ფულადი სახსრები	1100-1200	295,859	229,671	295,859	229,983	0	(312)
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	84,713	24,104	(27,509)	5,372	112,222	18,732
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	1,855	18,302	34,181	25,151	(32,326)	(6,849)
სხვა მატერიალური მარაგები	1620	2,250	2,250	2,250	5,445	-	(3,195)
სულ მოკლევადიანი აქტივები		384,677	274,327	304,781	265,951	79,896	8,376
გრძელვადიანი აქტივები							
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	-	-	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	1610	-	-	-	-	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	-	-	(289,496)	(289,496)	289,496	289,496
ძირითადი აქტივები	2100	4,583,116	4,694,819	7,186,572	7,057,658	(2,603,456)	(2,362,839)
ფასეულობები	2300	-	-	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	2400	636,687	636,687	636,687	636,687	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,219,803	5,331,506	7,533,763	7,404,849	(2,313,960)	(2,073,343)
ბალანსი		5,604,480	5,605,833	7,838,544	7,670,800	(2,234,064)	(2,064,967)
ვალდებულებები							
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები							
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	-	-	-	-	-	-
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	14,515	800	(61,497)	5,514	76,012	(4,714)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები		14,515	800	(61,497)	5,514	76,012	(4,714)
სულ ვალდებულებები		14,515	800	(61,497)	5,514	76,012	(4,714)
კაპიტალი							
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	4,401,334	4,517,870	5,545,393	5,661,930	(1,144,059)	(1,144,060)
გაუნაწილებელი მოგება	5220	1,188,631	1,087,163	219,171	6,849	969,460	1,080,314
დაუფარავი ზარალი	5230	-	-	-	-	-	-
სულ კაპიტალი		5,589,965	5,605,033	5,764,564	5,668,778	(174,599)	(63,745)
ბალანსი		5,604,480	5,605,833	5,703,067	5,674,292	(98,587)	(68,459)

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტში 2017 წელს ჩატარებული⁸ ქონების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა სრულად ამორტიზებული და შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი 1,056 ერთეული 237,870 ლარის საწყისი ისტორიული ღირებულების ძირითადი აქტივები. სამინისტროსგან მიღებული თანხმობის შემდეგ, უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა აღნიშნული აქტივების გატანა/განადგურება. ამასთანავე, თეატრალურმა უნივერსიტეტმა 2017 წლის ბოლოს ბუღალტრული გატარების გზით არასაოპერაციო ხარჯებზე ასახვით განახორციელა უკვე დიდი ხნის წინ ამორტიზებული აქტივების ჩამოწერა საწყისი ისტორიული ღირებულებით - 237,870 ლარის ოდენობით, რომელთა ღირებულება უკვე განულებული იყო. 2017 წელს უნივერსიტეტის სააღრიცხვო რეგისტრების მიხედვით 441,510 ლარის ოდენობით დაკორექტირებულია (გაზრდილია) ცვეთის თანხა, რომლის მიხედვით, ოპერაციის იდენტიფიცირება ვერ ხდება.

⁸ თეატრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 25 ოქტომბრის N149/2 ბრძანება.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 აღრიცხვა-ანგარიშგება

არასწორი კლასიფიკაცია

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ 2017 წელს შემოსავალში აღებულია და აღრიცხულია ძირითადი აქტივების საბალანსო ანგარიშზე 1,896 ლარის სხვადასხვა დასახელების აქტივები (მაცივარი, ლაზერული პრინტერები), რომელთა თვითღირებულება ნაკლებია 500 ლარზე⁹.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

- J სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ წარდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანახმად, „გრძელვადიან ძირითად აქტივებზე“ დარიცხული ცვეთა შეადგენს 973,831 ლარს. აუდიტით გამოვლინდა, რომ მუზეუმის ბალანსზე აღრიცხული აქტივების 2017 წელს დარიცხული ცვეთის ხარჯი 4,174 ლარით არის შემცირებული (ზოგიერთ აქტივს არ ჰქონდა ცვეთა დარიცხული);
- J სსიპ - თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო პროფესიული თეატრის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების „სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის“ საბალანსო ანგარიშის საწყისი ნაშთი წარდგენილია არასწორად - 2,310 ლარით გაზრდილი ღირებულებით (ცვეთის არასწორად დარიცხვიდან გამომდინარე);
- J სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის - „რუსთავის“ მიერ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი აქტივების“ საბალანსო მუხლის საწყისი და საბოლოო ნაშთები წარდგენილია არასწორად - 2,931 ლარით მეტი ოდენობით (რაც გამოწვეულია შენობაზე ცვეთის არასწორად დაანგარიშებით).

შედეგად, გაზრდილი ღირებულებით არის წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საბოლოო ნაშთები: ძირითადი აქტივების შესაბამისი ანგარიშების მიხედვით - 8,246 ლარის და კაპიტალის - 6,678 ლარის ოდენობით.

აღურიცხავი შემოსავალი

სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „ერისიონმა“ 2017 წლის ოქტომბერში მონაწილეობა მიიღო ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გამართულ ღონისძიებაში, რომელიც ჩატარდა ა(ა)იპ - ფონდ „ოცნების“ ეგიდით. ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, პროექტის ღირებულება შეადგენდა 6,000 ლარს.

⁹ ინსტრუქციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ფ) ქვეპუნქტი; 67-მუხლის მე-4 პუნქტი.

აღნიშნული თანხა სსიპ-ის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში არ არის აღიარებული შემოსავლებში. შედეგად, 6,000 ლარით შემცირებულია „კაპიტალის“ საბალანსო ანგარიში.

კონტროლის სისტემები

მივლინებებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ საგასტროლოდ გამგზავრებისას სამინისტროს კონტროლის ქვეშ მყოფი სსიპ-ების მიერ ზოგ შემთხვევაში აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი სამივლინებო დოკუმენტები - მიწვევა, გაფორმებული ხელშეკრულებები საპროდიუსერო კომპანიებთან, ღონისძიებების/ფესტივალების ორგანიზატორებთან ან საკონცერტო დარბაზებთან, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა მისაღები შემოსავლების იდენტიფიცირება და გაწეული სამივლინებო ხარჯების სისწორე. კერძოდ:

- 1) სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „ერისიონის“ მიერ შესაბამისი ბრძანებების¹⁰ თანახმად, განხორციელდა საკონცერტო მოგზაურობა თურქეთსა (ქ. ბოდრუმი) და საგასტროლო მოგზაურება ყაზახეთში (ქ. ალმა-ატა). განხორციელებული მივლინებების მიხედვით, „ერისიონის“ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საგასტროლო მოგზაურობის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები, მიწვევები;
- 2) ასევე სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრის მიერ 2017 წლის განმავლობაში განხორციელებული გასტროლების ფარგლებში არ არის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები.

2.2 იჯარით გაცემული ფართები

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი

2017 წელს ეროვნული მუზეუმის შესაბამისი სამსახურის მიერ სამუზეუმო კაფეს და/ან მაღაზიის მოწყობის მიზნით შერჩეულ იქნა იჯარით გასაცემი ფართები, რომელიც მიზნად ისახავდა ამ ობიექტების მუშაობისა და მართვისათვის საჭირო ხარჯების შემცირებას და მუზეუმის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლების ზრდას.

ეროვნული მუზეუმის მიერ 2017 წლის სექტემბერსა და ნოემბერში გამოცხადდა ელექტრონული აუქციონები, რომელთა შედეგების საფუძველზე კომპანიებთან გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულებები.

მუზეუმის მიერ გამოცხადებული აუქციონები იყო პირობებიანი, რომელთა თანახმად აუქციონში გამარჯვებული მოიჯარე ვალდებული იყო განსაზღვრულ ვადაში დაეწყო საქმიანობა და შესაბამის

¹⁰ ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელის 2017 წლის 21 ივლისის N87 და 2017 წლის 28 ივნისის N75 ბრძანებები.

ობიექტებს - ფუნქციონირება; ასევე უზრუნველყო კომუნალური გადასახადებისათვის საჭირო მრიცხველების დაყენება და განხორციელებინა აღნიშნული კომუნალური გადასახადების გადახდა.

აუდიტით გამოვლინდა, რომ გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ყველა ობიექტი დათქმულ ვადაში არ ამოქმედდა; ასევე არ განხორციელდა საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული კომუნალური გადასახადების მრიცხველების გამხოლოება. ხელშეკრულებების თანახმად¹¹ კი, მუზეუმი უფლებამოსილი იყო ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო პირობების დარღვევისას მოიჯარესთან ვადამდე მოეშალა ხელშეკრულება (სხვა პირგასამტეხლო გათვალისწინებული არ იყო).

შპს „მაღაზია ინტელექტთან“ გაფორმებული იჯარის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით სამუზეუმო მაღაზია ამოქმედდა დროულად, მაგრამ მოიჯარე კომპანიამ ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტის¹² მიხედვით, საკუთარი სახსრებით არ უზრუნველყო შიდა კომუნიკაციების (მათ შორის, ელექტროენერგიის მრიცხველის) მოწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული მუზეუმი იხდის მაღაზიის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების მოსაკრებელს (თანხების იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო, რადგან არ მომხდარა მრიცხველების გამხოლოება).

ცხრილი N6. მუზეუმის მიერ იჯარით გაცემული ფართები

N	გასაქირავებელი ფართის მდებარეობა	მისამართი	ფართობი	დანაშნულება	გამარჯვებული ორგანიზაცია	ფუნქციონირების სტატუსი
1	დ. შვედრდამის სახ. ეროვნული გალერეის შენობისა და ეზოში განთავსებული კომერციული დანიშნულების ფართი(კაფე, სამზარეულო, სველი წერტილი, მიწის ნაკვეთი)	თბილისი, შოთა რუსთაველის გამზ. N11	309.6 კვ.მ.	კაფეს მოწყობა	შპს "კაუფმანი"	არ ფუნქციონირებს
2	მ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის შენობის ფართის ნაწილი	თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქ. N1	9 კვ.მ.	სამუზეუმო მაღაზია	შპს "მაღაზია ინტელექტი"	ფუნქციონირებს
3	სვანეთის მუზეუმის შენობის ფართის ნაწილი	მესტია, ავთანდილ იოსელიანის ქ. N7	30.8 კვ.მ.	სამუზეუმო მაღაზია	შპს "მაღაზია ინტელექტი"	ფუნქციონირებს
4	სიღნაღში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობაში განთავსებული კომერციული ფართი	სიღნაღი, შოთა რუსთაველის ჩიხი N8	148 კვ.	კაფეს მოწყობა	შპს "კაუფმანი"	არ ფუნქციონირებს
5	სიღნაღში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობაში განთავსებული ღვინის სადეგუსტაციო მარანი	სიღნაღი, შოთა რუსთაველის ჩიხი N8	24 კვ.	ღვინის მარანი/ალკასამელების მაღაზია	შპს "კაუფმანი"	არ ფუნქციონირებს
6	თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა) შენობის ფართის ნაწილი, აივანი	თბილისი, სიონის ქ. N8	90 კვ.მ.	კაფეს მოწყობა	შპს "მედიანი ჯგუფი"	არ ფუნქციონირებს
7	ეთნოგრაფიული მუზეუმის მიდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი	თბილისი, კუს ტბის გზა N1	200 კვ.მ.	დროებითი ნაგებობა - კაფეს ან სამუზეუმო მაღაზიის მოწყობა	შპს "პასტიერია"	არ ფუნქციონირებს
8	თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა) შენობის ფართის ნაწილი	თბილისი, სიონის ქ. N8	23.2 კვ.მ.	სამუზეუმო მაღაზია	შპს "მაღაზია ინტელექტი"	ფუნქციონირებს
9	ეთნოგრაფიული მუზეუმის ადმინისტრაციის შენობის ფართის ნაწილი("ვენდინგ აპარატის" განთავსება)	თბილისი, კუს ტბის გზა N1	4 კვ.მ.	"ვენდორ აპარატების" განთავსება	შპს "პასტიერია"	ფუნქციონირებს
10	ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის შენობაში განთავსებული კომერციული დანიშნულების ფართი(კაფე, კერანდა, სამზარეულო და ინვენტარი)	თბილისი, რუსთაველის გამზ. N3	78.7 კვ.მ.	კაფეს მოწყობა	შპს "კაუფმანი"	ფუნქციონირებს
11	სიღნაღში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობაში განთავსებული კომერციული ფართი	სიღნაღი, შოთა რუსთაველის ჩიხი N8	20 კვ.მ.	სამუზეუმო მაღაზია	შპს "მაღაზია ინტელექტი"	ფუნქციონირებს

¹¹ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების მე-2 მუხლის 2.1.4 ქვეპუნქტი.

¹² ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.4.3 ქვეპუნქტი.

სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრი

თეატრის მიერ 2015 წელს ელექტრონული აუქციონის ფორმით გაცემულ იქნა შპს „ლიბკოპზე“ სარგებლობის უფლებით, სულ 94,93 კვ.მ ფართები (40,27 + 54,66 - სარდაფი) 4 წლის ვადით, 2018 წლის 31 დეკემბრამდე, ყოველთვიურად - 1,900 ლარის გადახდით¹³. გამოცხადებული აუქციონი იყო პირობებიანი და ითვალისწინებდა სხვა პირობებთან ერთად შემდეგს: ფართის მოიჯარე ვალდებული იყო, გარდა საიჯარო თანხისა, ცალკე შეთანხმების საფუძველზე გადაეხადა კომუნალური მომსახურების თანხები (ელექტროენერგია, კავშირგაბმულობა, გათბობა). ხელშეკრულების 1.4 პუნქტის თანახმად კი, კომპანიის მიერ კომუნალური ხარჯები ანაზღაურდებოდა ცალკე, ყოველთვიურად მოხმარებული ელექტროენერგიის და ტელეფონით განხორციელებული ფასიანი ზარების შესაბამისად.

პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესების თანახმად, სარგებლობის უფლება მიენიჭება იმ მონაწილეს, რომელიც აიღებს ვალდებულებას დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ამასთანავე, შესთავაზებს ყველაზე მაღალ ფასს¹⁴. აღნიშნულ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, 2017 წლის 1 იანვრიდან შპს-სთან გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმად, ყოველთვიური გადასახადი მოიცავდა კომუნალურ გადასახადებს.

შპს „ლიბკოპს“ მთელი საიჯარო პერიოდის განმავლობაში კომუნალური გადასახადები არ გადაუხდია. 2017 წელს, თეატრში არსებული შიდა აღრიცხვის (მიღება-ჩაბარების აქტები) დოკუმენტების შესაბამისად, კომპანიის კომუნალურმა გადასახადებმა შეადგინა 1,068 ლარი, რომელიც გადახდილი და ხარჯად აღიარებულია თეატრის მიერ.

სსიპ - ქუთაისის მელიტონ ბაღანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2017 წელს თეატრმა უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში არსებული შენობის ნაწილი 197 კვ.მ-ის ოდენობით, დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით, გასცა იჯარის წესით. სულ, 8 ხელშეკრულების ფარგლებში 2017 წელს მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 17,800 ლარი.

აღნიშნული ხელშეკრულებები თეატრის მიერ გაფორმებულია მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ¹⁵, ელექტრონული აუქციონის გარეშე.

¹³ 2015 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულება.

¹⁴ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁵ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანება.

2.3 შტატგარეშე მომუშავეები

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 იანვრის N115 განკარგულების მიხედვით, სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრის შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა განისაზღვრა არაუმეტეს 89 ერთეულით.

2017 წელს შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობამ აღნიშნულ ზღვარს გადააჭარბა 2 შემთხვევაში: მარტში - 17 ერთეულით, ხოლო აპრილში - 29 ერთეულით.

მიღებული განმარტების თანახმად, შტატგარეშეთა რაოდენობის ზრდა განაპირობა აღნიშნულ თვეებში სპექტაკლებზე მოთხოვნის მატებამ.

2.4 საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან შეუსაბამო განაცემები

აუდიტის პერიოდში სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმს შტატით მომუშავე თანამშრომლებთან - საექსკურსიო/პედაგოგიური საქმიანობის და არაგეგმური არქეოლოგიური სამუშაოების შესასრულებლად, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შტატგარეშე თანამშრომლის სტატუსით. აღნიშნული შტატგარეშე თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოები ანაზღაურებულია ეკონომიკური კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ - შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო - მუხლით. შტატიანი თანამშრომლების მიერ ზეგანაკვეთური წესით შესრულებული სამუშაოებიც ანაზღაურებულია ასევე „საქონელი და მომსახურების“ მუხლით. 2017 წელს ზემოაღნიშნული საქმიანობების სახით განაცემებმა შეადგინა სულ 536,007 ლარი, მათ შორის:

ცხრილი N7. მუზეუმის მიერ კლასიფიკაციასთან შეუსაბამოდ გაცემული თანხები (ლარი)

საექსკურსიო/პედაგოგიური საქმიანობა	არაგეგმური არქეოლოგიური სამუშაოები	ზეგანაკვეთური სამუშაოები	სულ
120,628	356,665	58,715	536,008

შტატით მომუშავე თანამშრომლების მიერ შტატგარეშედ ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები თავისი შინაარსით წამოადგენს არასამუშაო/საღამოს საათებში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში, ასევე ზეგანაკვეთურად შესრულებულ სამუშაოს, რომელთა მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობით¹⁶, შრომის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს დანამატის ფორმით.

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“.

2.5 გაცემული რეკომენდაციების შესრულება

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაცემული იყო 14 რეკომენდაცია, საიდანაც შესრულებულია 7 რეკომენდაცია, 4 რეკომენდაცია კი - ნაწილობრივ. სახსრების სწორი და გამჭვირვალე აღრიცხვა-ანგარიშგების უზრუნველსაყოფად, ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით წარმოებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები არ შეასრულა სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიამ და ნაწილობრივ სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა. ასევე, მიმდინარე აუდიტის ფარგლებში წინა წლის მსგავსად, სსიპ - თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მიერ, 2017 წელს ჩატარებული არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციისას გამოვლენილი - ბუღალტრულად აღრიცხულსა და ფაქტობრივად არსებულ აქტივებს შორის სხვაობები - დანაკლისები 14,021 ლარის ოდენობით და ზედმეტობა (შესაფასებელია), არ იყო თეატრის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული¹⁷ (საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმის დაუმტკიცებლობის გამო).

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტები.

3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია, ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ:

-)/ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
-)/ შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სამინისტროს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
-)/ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
-)/ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა

რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, სამინისტრო შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.

-) მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროს სისტემაში შემავალი და მის მიერ კონტროლირებული ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობა ვრცელდება კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე.
-) ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით; აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

5. აუდიტორთა ხელმოწერა

აუდიტორთა ხელმოწერა:

ხელმოწერა

სახელი, გვარი


ლალი სეხნაშვილი

წამყვანი აუდიტორი



მამუკა ჯოხაძე

წამყვანი აუდიტორი



ნინო კუბლაშვილი

აუდიტორი



ასმათ ლილუაშვილი

აუდიტორი



6. დანართები - სამინისტროს (პროგრამული კოდი: 33 00) ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	ანგარიში	2017 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	1100-1200	12,783,023	13,596,531
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	1,745,273	1,084,611
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	4,557,027	5,909,909
სხვა მატერიალური მარაგები	1620	2,835,640	2,453,216
სულ მოკლევადიანი აქტივები		21,920,963	23,044,267
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	3,401	3,401
სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	3,189,609	3,241,189
ძირითადი აქტივები	2100	314,136,309	311,679,357
ფასეულობები	2300	1,906,401	1,815,805
არაწარმოებული აქტივები	2400	165,309,836	137,880,922
საინვესტიციო ქონება	2500		
სულ გრძელვადიანი აქტივები		484,545,556	454,620,674
ბალანსი		506,466,519	477,664,941
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	13,972	13,972
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	7,838,847	6,624,745

ფინანსური აუდიტის ანგარიში

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		7,852,819	6,638,717
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		3300	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		7,852,819	6,638,717
კაპიტალი			
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	483,345,246	457,746,490
გაუნაწილებელი მოგება	5220	15,268,454	13,279,734
დაუფარავი ზარალი	5230	-	-
სულ კაპიტალი		498,613,700	471,026,224
ბალანსი		506,466,519	477,664,941

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	2017 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)			2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
ბიუჯეტიდან დაფინანსება	111,180,141		111,180,141	119,758,523
შემოსავლები (030+040+050+060)	9,730,515	31,348,573	41,079,088	163,342,585
გრანტები	9,110,949	6,613,581	15,724,530	123,501,955
სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	619,566	24,734,992	25,354,558	39,840,630
ა) შემოსავლები საკუთრებიდან		316,467	316,467	519,096
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია		20,301,228	20,301,228	27,823,663
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	838	2,454	3,292	7,850
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	589,547	3,313,876	3,903,423	10,916,653
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	29,181	800,967	830,148	573,368
სულ (010+020)	120,910,656	31,348,573	152,259,229	283,101,108
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	55,810,589	6,175,417	61,986,006	67,745,922
საქონელი და მომსახურება	22,710,487	16,539,874	39,250,361	64,059,454
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	8,402,619	3,024,115	11,426,734	8,597,733
პროცენტი			-	
სუბსიდიები			-	
გრანტები	963,443	1,154,502	2,117,945	17,817,661
სოციალური უზრუნველყოფა	336,779	131,134	467,913	453,118
სხვა ხარჯები	21,163,225	2,021,463	23,184,688	23,596,152
სულ: (140+150+160+170+180+190+200+210)	109,387,142	29,046,505	138,433,647	182,270,040
ფინანსური შედეგი (120-220)	11,523,514	2,302,068	13,825,582	100,831,068

ფინანსური აუდიტის ანგარიში

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	25,598,756	1,988,720		27,587,476
კორექტირებები: ¹	(15,302,956)	2,898,566	-	(12,404,390)
ცვეთა (+)	8,402,619	3,024,115		11,426,734
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	(24,069,518)	43,025		(24,026,493)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(305,017)	(77,407)		(382,424)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	63,122	(11,542)		51,580
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	324,087	(1,007,255)		(683,168)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	281,751	927,630		1,209,381
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ³	10,295,800	4,887,286	-	15,183,086
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები				-
სტრატეგიული მარაგები				-
ფასეულობები				-

არაწარმოებული აქტივები				-
საინვესტიციო ქონება				-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	10,187,007	5,809,587	-	15,996,594
ძირითადი აქტივები	10,187,007	5,762,187		15,949,194
სტრატეგიული მარაგები				-
ფასეულობები		47,400		47,400
არაწარმოებული აქტივები				-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან ⁴	(10,187,007)	(5,809,587)	-	(15,996,594)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა				-
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა				
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან ⁵	-	-	-	-
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება ⁶	108,793	(922,301)	-	(813,508)
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	421,487	13,175,044		13,596,531
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	530,280	12,252,743	-	12,783,023
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორისი სხვაობა (-/+)				
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)				

ფინანსური აუდიტის ანგარიში

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	(საანგარიშო წელი) არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
საწყისი ნაშთი	457,746,490	13,279,734	471,026,224
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები			-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	(231,116)	(60)	(231,176)
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (010+020+030)	457,515,374	13,279,674	470,795,048
არასაოპერაციო შემოსავლები (060+070)	14,816,085	194,081	15,010,166
კურსთა შორისი სხვაობით მიღებული შემოსავალი	108,908	63,725	172,633
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	14,707,177	130,356	14,837,533
არასაოპერაციო ხარჯები (090+100)	330,546	352,935	683,481
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი	43,551	38,466	82,017
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	286,995	314,469	601,464
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (120+130)	179,181	154,434	333,615
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	179,181	2,083	181,264
მოგების გადასახადი		152,351	152,351
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	11,523,514	2,302,068	13,825,582
ნაშთი წლის ბოლოს (040+050-080-110+140)	483,345,246	15,268,454	498,613,700

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დაზუსტებულ და დამტკიცებულ გეგმებს შორის	საკასო (ფაქტობრივი) ხარჯი	გადახრა % საკასო (ფაქტობრივი) ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის	დარიცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და საკასო (ფაქტობრივი) ხარჯებს შორის
ხარჯები	90,292,000	94,130,033	4.25%	100,852,814	7.14%	109,387,142	(8,534,328)
შრომის ანაზღაურება	55,516,000	55,789,555	0.49%	55,811,253	0.04%	55,810,589	664
არაფინანსური აქტივების ზრდა	9,323,000	10,128,494	8.64%	10,277,317	1.47%		-
ფინანსური აქტივების ზრდა							
ვალდებულებების კლება		23,031		50,010	117.14%		

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი ბარათი

შესავალი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2017 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ (2016 წლის 15 აპრილის საქართველოს ფინანსთა მინისტრის N79 ბრძანებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით) ინსტრუქციის და IPSAS -ის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობაზე, მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების ნაკადებზე.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს:

-)/ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
-)/ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს;
-)/ ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს;
-)/ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს;
-)/ ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშს;
-)/ ანგარიშგების დანართებს, დებიტორ-კრედიტორული დავალიანების ფორმებს - წლების, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებისა და დაფინანსების წყაროს მიხედვით;
-)/ ახსნა-განმარტებით ბარათს.

ანგარიშგების თარიღი

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადდა სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, 2018 წლის 31 მარტამდე.

საანგარიშგებო პერიოდი

კონსოლიდირებული (ნაერთი) ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2017 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საანგარიშგებო ვალუტა

კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ანგარიშგების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. ანგარიშგების თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, ხოლო ოპერაციები საანგარიშო პერიოდში აღრიცხულია ოპერაციის შესრულების დღეს არსებული ოფიციალური კურსით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება, შესაბამისად, წმინდა ღირებულების ან მოგების/ზარალის ანგარიშებზე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საბიუჯეტო კოდია: **33 00**. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების დაფინანსების და შემოსავლის წყაროა:

1. სახელმწიფო ბიუჯეტი;
2. მიზნობრივი გრანტი;
3. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული (არასაბიუჯეტო) შემოსავალი.

კონსოლიდაციას ექვემდებარება სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის პირველადი დოკუმენტების ჩანაწერების საფუძველზე. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სამინისტროს აპარატისა და შემდეგი ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებს:

ბიუჯეტი

სამინისტროს 2017 წლის დამტკიცებულმა გეგმამ სახელმწიფო ბიუჯეტით შეადგინა 99,615,000 ლარი, მათ შორის ხარჯების მუხლი 90,414,000 ლარი, არაფინანსური აქტივები 9,201,000 ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენს სულ 104,281,558 ლარს, მათ შორის ხარჯების მუხლი 94,130,033 ლარს, არაფინანსური აქტივები 10,128,494 ლარს, ვალდებულებების კლება 23,031 ლარს. აღებული ვალდებულებები მიზნობრივი გრანტით შეადგენს 111,238,985 ლარს, მათ შორის ხარჯების მუხლი 100,911,540 ლარს, არაფინანსური აქტივები 10,277,432 ლარს, ვალდებულებების კლება 50,013 ლარს. საკასო ხარჯი შეადგენს მიზნობრივი გრანტის ჩათვლით 111,180,141 ლარს, მათ შორის ხარჯების მუხლი 100,852,814 ლარს, არაფინანსური აქტივები 10,277,317 ლარს, ვალდებულებების კლება 50,010 ლარს.

ფაქტობრივმა ხარჯებმა შეადგინა სულ 109,387,142 ლარი, მათ შორის, ძირითადი კაპიტალის

მოხმარება - 8,402,619 ლარი.

დეტალური ინფორმაციები, როგორც საბიუჯეტო, ასევე ეკონომიკური საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, ასახულია ფინანსური ანგარიშგების ფორმებსა და დანართებში.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს როგორც ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებულ ფულს, ასევე ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს საღაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორის სხვაობა ასახულია: საბიუჯეტო სახსრებით წარმოშობის შემთხვევაში წმინდა ღირებულების“ ანგარიშში, ხოლო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით წარმოშობის შემთხვევაში - მოგება-ზარალის ანგარიშში.

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით. ფინანსურ აქტივებსა და მოთხოვნებზე დარიცხული ჯარიმები და სანქციები ასახულია აქტივების ცალკე ანგარიშზე N1354. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები უმეტესწილად წარმოქმნილია წინასწარი გადახდებით. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოდგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების სახით. ფინანსური აქტივის მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მისი გაცვლის ღირებულება. მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს, ხაზინის მონაცემთა ბაზის მიხედვით, გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის პერიოდი და კლასიფიცირებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ნაერთი დებიტორული დავალიანება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,305,701 ლარს, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ნაერთი დებიტორული დავალიანება იყო 6,997,921 ლარი, საანგარიშო პერიოდში შემცირებულია დებიტორული დავალიანება, კერძოდ 692,220 ლარით.

ძირითადი აქტივები

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საწყისი (ისტორიული) ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ცვეთის თანხით. საწყისი ღირებულება მოიცავს ძირითადი აქტივების შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია

შემენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან. ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით N439 „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრული აღრიცხვის ასახვის შესახებ“ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, დარიცხული ცვეთა ტარდება ხარჯებში, როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად. ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვასა და რემონტის დანახარჯები, რომლითაც არ იზრდება ძირითადი აქტივების ღირებულება, განხილულია ხარჯებად, ხოლო არსებული აქტივების არსებითი გაუმჯობესება – განახლება, რეკონსტრუქცია, გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოო სიმძლავრეს, ხარისხს ან ახანგრძლივებს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას – განიხილება როგორც ძირითადი აქტივების მიღება.

მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია შემენის ღირებულებით და დამზადების თვითღირებულებით. მატერიალურ მარაგებში ასახულია საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, გასაყიდად შემენილი საქონელი და მცირეფასიანი აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმს: ღირებულება ნაკლებია 500 ლარზე (მიუხედავად გამოყენების ვადისა) ან გამოყენების ვადა არ აღემატება ერთ წელიწადს (მიუხედავად ღირებულებისა).

ვალდებულებები

ვალდებულებები, რომლებიც ბუღალტრულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც ფინანსური ვალდებულებები, ძირითადად, შეესაბამება საბიუჯეტო კლასიფიკაციას და GFS - 2001 მეთოდოლოგიას, თუმცა, ამავე დროს, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS)) შესაბამისად, დაყოფილია მოკლევადიან და გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებად.

ფინანსური ვალდებულებები წარმოადგენს მიმდინარე ვალდებულებებს, რომლებიც ძირითადად წარმოშობილია საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული ოპერაციებიდან. მათ შორის საანგარიშო პერიოდში წარმოშობილი ვალდებულებები წარმოადგენენ უმნიშვნელო ნაწილს მთლიან დავალიანებაში. დავალიანების ძირითადი ნაწილი წინა წლებში განხორციელებული ოპერაციების შედეგადაა წარმოქმნილი. ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებებში დიდია დარიცხვის ოპერაციებით წარმოქმნილი ვალდებულებების წილი, რომელთა მიხედვით საკასო ოპერაციები არ განხორციელებულა. ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის, გამოყენებულია თითოეული ორგანიზაციის კრედიტორული დავალიანების შესახებ ინფორმაცია - თანხების მიმღების, წარმოშობის პერიოდის და საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების კატეგორიების მიხედვით.

წლის დასაწყისთან დაკავშირებით გაზრდილია კრედიტორული დავალიანებები, რაც ძირითადად გამოწვეულია წინასწარ მიღებული შემოსავლებით და წლის ბოლოს, 31 დეკემბრისათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადების დარიცხვით.

კაპიტალი

წმინდა ღირებულება წარმოადგენს დამაბალანსებელ მუხლს, რომელიც გაანგარიშებულია საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებულ ხარჯებსა და შემოსავლებს (მათ შორის ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას) შორის სხვაობა.

გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგების თანხების გაანგარიშებაში მონაწილეობს ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე სსიპ-ების მიერ ეკონომიკური საქმიანობის შედეგად გასულ წლებში მიღებული მოგების გაუნაწილებელი თანხები, აგრეთვე საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალის თანხა, რომელიც დარჩა გაუნაწილებელი, ეკონომიკური საქმიანობის საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალის თანხა, რომელიც დარჩა გაუნაწილებელი. ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების მიხედვით, გაანგარიშებულია სსიპ-ის მოგება/ზარალი საქართველოს საგადასახდო კოდექსის მიხედვით და მიღებული მოგება/ზარალი ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში - „გაუნაწილებელი მოგება“ ან „დაუფარავი ზარალი“.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 67 ორგანიზაციის გაუნაწილებელი მოგება ასახულია 5220 ანგარიშზე, ხოლო 11 ორგანიზაციის დაუფარავი ზარალი 5230 ანგარიშზე.

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა საგადასახდო მიზნებისათვის

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთეულების მიერ გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახდო კანონმდებლობის შესაბამისად.

ბუღალტრული ანგარიშგება ასევე მოიცავს დამატებით ინფორმაციას დანართების სახით არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და სხვა მოვლენების შედეგად ფლობით მიღებული მოგება/ზარალის შესახებ.

ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავლები და მიზნობრივი გრანტები შემოსავლად აღიარებულია საკასო მეთოდით, ხოლო სხვა შემოსავლები და ხარჯები - დარიცხვის მეთოდით.

არაფინანსური აქტივები ბალანსში ასახულია შეძენისა და დამზადების ღირებულებით, გარდა ძირითადი აქტივებისა. ძირითადი აქტივები ბალანსში ასახულია ნარჩენი ღირებულებით, ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვისას გამოყენებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის N439 ბრძანებით დამტკიცებული (ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ

აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციით გათვალისწინებული ცვეთის ნორმები და წესები. ძირითად აქტივებზე გამოყენებულია ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი. საანგარიშო პერიოდში გაიზარდა არაფინანსური აქტივები უსასყიდლოდ მიღებისა და აფასების შედეგად.

მიუხედავად იმისა, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფერო მეტად სპეციფიკური და მრავალფეროვანია, აღრიცხვის ერთიან სისტემაში მოქცევა სირთულეებთანაა დაკავშირებული, კადრების რაოდენობა შეზღუდულია და საკმარისი არ არის, სტანდარტების დანერგვა კი მეტად შრომატევადია და საპასუხისმგებლო, სამინისტრო აგრძელებს განსაკუთრებულ მუშაობას, რომ არსებული ნორმატიული დოკუმენტებისა და მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, შეიმუშაოს ფინანსური ანგარიშგების შედგენის ერთიანი მეთოდოლოგია კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებისათვის, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (ნორმატიული აქტების შესაბამისად) უტყუარად და სამართლიანად ასახავს სისტემის ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების მონაცემებს.

სამინისტროში მიმდინარეობს ეტაპობრივად (თეატრებთან, მუზეუმებთან, სასწავლებლებთან და სხვ.) სსიპ-ების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების განხილვა.

ფინანსურ ანგარიშგებებში შეტანილი ცვლილებების შესახებ გაცნობებთ დამატებით და წარმოგიდგენთ დაზუსტებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

სსიპ-ების ფინანსური ანგარიშგებები შემოწმებულია დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ, რომელთა დასკვნებში ანგარიშგების შეუსაბამობაზე შენიშვნები არ არის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE